



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტო  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010104578505218

**31 / აგვისტო / 2018 წ.  
# 855/ს**

**2018 წლის 29 აგვისტოს N255 ელექტრონული აუქციონის (ლოტი N01; N02; N03; N04 სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსი - (სოჭი I; II; III; IV ხარისხის ჯიშის მრგვაი ხე-ტყე (მორი)- სულ 247.460 მ<sup>3</sup>) შედეგების გამოცხადების შესახებ**

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის #50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის (სოჭი 247.460 მ<sup>3</sup>) საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N255) გამოცხადების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“-ს უფროსის 2018 წლის 22 აგვისტოს N822/ს ბრძანებისა და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 30 აგვისტოს N17140/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მიმდინარე წლის 29 აგვისტოს ჩატარებული N255 ელექტრონული აუქციონის (ლოტი N01; N02; N03; N04) - I; II; III და IV ხარისხის სოჭის ჯიშის მერქნული რესურსი - 247.460 მ<sup>3</sup> ) შედეგებით, ლოტი N01; N02; N03 და N04 გამოვლინდა გამარჯვებული პირი:

1. აუქციონი N255, ლოტი N01- შპს ხვაი (430037453) - (31.79 მ<sup>3</sup> I სოჭი).
2. აუქციონი N255, ლოტი N02- შპს ხვაი (430037453) - (82.89 მ<sup>3</sup> II სოჭი).
3. აუქციონი N255, ლოტი N03 - შპს ხვაი (430037453) - (116.43 მ<sup>3</sup> III სოჭი).
4. აუქციონი N255, ლოტი N04 -ფ/პ თამაზი თუთარაშვილი (18001065938) - (16.35 მ<sup>3</sup> IV- სჭ).

2. მიენიჭოს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსს გამარჯვებულის მიერ კანონმდებლობით და აუქციონის პირობებით დადგენილ ვადაში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის შემდეგ ნასყიდობის ხელშეკრულებასა და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება და დაევალოს, აუქციონის პირობების შესრულებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, აუქციონში გამარჯვებული პირისათვის შესაბამისი მერქნული რესურსის გადაცემა მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, თანახმად ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვადების დაცვით.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს შემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, გულუას #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

